თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №23

13 აპრილი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ე.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.

ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში მდებარე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს/კN84.06.33.010) - 400.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის ნაწილის, მე-2 სართულზე არსებული 74 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით ააიპ „ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის" 1 წლის ვადით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY SAKREBULO * 230869254 *